ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №21

ქ. გორი *2016 წლის " 03 " ოქტომბერი*

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი (საიდენტიფიკაციო კოდი 218083302 მისამართი: ქ.გორი, სამეფოს ქ. №17) შემდგომში "დამკვეთი" წარმოდგენილი დირექტორის ნადეჟდა მანჯავიძის სახით

და

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "გლობალკომი" (რეგისტრირებული 22.04.2008წ. გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ, რეგისტრაციის ნომრით გსი №00163, საიდენტიფიკაციო კოდი 218081126 / მისამართი: ქ.გორი სტალინის გამზ.№13) შემდგომში „შემსრულებელი" წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით შატაკიშვილის სახით

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულებას იღებს შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში ჩამოთვლილი სამუშაო, ხოლო თავის მხრივ, დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური

1.2 შესასრულებელი სამუშაო: ქსელის განახლება (მონტაჟი) CPV 32428000

1.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.გორი, სამეფოს ქ. № 17

1.4 შემსრულებელი სამუშაოს შეასრულებს საკუთარი მასალებით.

1.5 შემსრულებლის მიერ შესრულებულ სამუშაოთა დამკვეთისათვის გადაცემა უნდა გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

2. მომსახურების ვადა, ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით.

2.2. მომსახურების სრული ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს: **200 (ორასი) ლარს.**

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.4. საზღაურის გადახდა წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 საბანკო დღეში.

3. მხარეთა ვალდებულებანი

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრული მოცულობით, ჯეროვნად და ხარისხიანად, დათქმულ ვადაში.

3.1.2. უზრუნველყოს საკუთარი ძალებით შესასრულებელი სამუშაოებისათვის სათანადო მასალა და აღჭურვილობა.

3.1.3. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის მაღალი დონე.

3.1.4. შეათანხმოს დამკვეთთან ნებისმიერი დეტალი, რომელმაც შეიძლება იქონიოს გავლენა მომსახურების ხარისხზე.

3.1.5. დაიცვას ყველა საჭირო უსაფრთხოების წესები ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაზედაც თავად არის პასუხისმგებელი.

3.2. დამკვეთი ვალდებულია

3.2.1. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

3.2.2. დაიცვას ნაკისრი ვალდებულება და გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურეობის საზღაური.

4. გარანტიები

4.1 შემსრულებელი იძლევა ხელშეკრულების საგანზე გარანტიას.

4.2 საგარანტიო ვადა შეადგენს ექვს თვეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან.

4.3 საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგნის ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გამოასწოროს ან შეცვალოს ნაკლოვანი ნივთი ერთი კვირის ვადაში, ვალდებულება არ წარმოიქმნება, თუ საგნის ნაკლი გამომდინარეობს დამკვეთის მიერ მისი არასათანადო/შეუსაბამო მოხმარებიდან.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

5.2 ფორს-მაჟორი გულისხმობს ისეთი გარემოების არსებობას, რომელთა დადგომა, შეცვლა, შეწყვეტა მხარეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული და რომლის დროსაც შეუძლებელია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედების შესახებ, ასეთი გარემოების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში.

5.4 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

5.5 ფორს-მაჟორული გარემოებების სამ თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორს-მაჟორული გარემოებებთან შემგდომი მისადაგების საკითხი.

6 სხვა დებულებები

6.1 ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, მოქმედებს მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეეთა მიერ მათი ნაკისრი ვალდებულებების ბოლომდე შესრულებამდე.

6.2 მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარის მიერ დარღვეული იქნება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

6.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები ისარგებლებენ მოქმედი კანონმდებლობით.

6.5 ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.

6.6 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და რჩება მხარეებთან.

6.7

7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

7.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

8 მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

8.1 **დამკვეთი**
ს.ს.ი.პ. ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის
სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი
მისამართი:ქ.გორი, სამეფოს ქ. №17
ტელეფონი: 27-35-11
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 200122900

_____

8.2 **შემსრულებელი**
შ.პ.ს. "გლობალკომი"
საინდ.კოდი : 218081126
მისამართი: ქ. გორი. სტალინის გამზ. 13
ტელეფონი: 27-22-81
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"-ს გორის ფილიალი
ბანკის კოდი MIBGGE22
საანგარიშსწორებო ანგარიში: GE44PC0143600100023575

_____

დანართი № 1

ს.ს.ი.პ. ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი ქსელის განახლება (მონტაჟი)

№	სამუშაოს დასახელება	საზ.ერთ	რა-ბა	ერთ. ფასი	ფასი
1	ქსელის განახლება (მონტაჟი)	ცალი	8	25.00ლ.	200.00ლ
2					
	სულ:				200.00ლ.

ჩააბარა:

შ.პ.ს. "გლობალკომი"

მიიღო:

ს.ს.ი.პ. ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი